

საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში

2018 წლის ივლისში საქართველოს „საგადასახადო კოდექსში“ მნიშვნელოვანი და საინტერესო ცვლილებები არ შესულა.

სხვა საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში შევიდა ცვლილება პერსონალურ მონაცემთა საიდუმლოების დაცვის თაობაზე.

ცვლილების თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირის პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად. თანამდებობის პირების, აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატების პერსონალური მონაცემები საჯაროა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

საქართველოში შრომის უსაფრთხოების დაცვის საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს დაემატა ახალი თავი - ადმინისტრაციული სამართალწარმოება შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევისათვის სამუშაო პროცესის შეჩერებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ თავში განხილულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმების განმახორციელებელი სამსახურის მიერ წარდგენილ სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების შესახებ შუამდგომლობის განხილვის პირობები და ვადები, ასევე, სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების, ნაწილობრივ დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრების პროცედურები.

სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების შესახებ შუამდგომლობას სასამართლო განიხილავს 48 საათის განმავლობაში, მხარეთათვის შეუტყობინებლად. სამუშაო პროცესის შეჩერების დამტკიცების, ნაწილობრივ დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე საჩივარი შეიტანება ამ განჩინების მიმდებ სასამართლოში, მხარისთვის განჩინების ასლის გადაცემიდან 48 საათში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს. საჩივრისა და



თანდართული საქმის მასალების ასლები მეორე მხარესაც ეგზავნება. საჩივარს სააპელაციო სასამართლო განიხილავს ერთპიროვნულად, შეტანიდან 48 საათში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მნიშვნელოვანი სასამართლო პრაქტიკა

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საინტერესო გადაწყვეტილება გამოიტანა სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსწორებასთან დაკავშირებით.

მოსარჩელე ითხოვდა დაჯარიმების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას იმ მიზეზით, რომ მან შეასრულა ზედამხედველობის სამსახურის მითითება და მოახდინა უკანონო მშენებლობის დემონტაჟი. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, ხოლო სააპელაციომ ახალი გადაწყვეტილებით ბათილად ცნო გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და შესაბამის სამსახურს დაავალა ახალი აქტის გამოცემა.

საკასაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მიერ გაკეთებული სამართლებრივი დასკვნები და დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელემ შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე მოაწყო ბლოკის წყობა, მაგრამ სამართალწარმოებაში დაცული

დოკუმენტაციით ასევე დასტურდება ბლოკის წყობის მოშლის ფაქტი. დაუდგენელია აღნიშნული მოქმედება უსწრებდა თუ არა სადავო ბრძანების გამოცემას დროში. სადავო ბრძანებაში ასევე არ არის ნამსჯელი იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მითითებით დასტურდებოდა ლენტური საძირკვლის არსებობის ფაქტი, რამდენადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სადავოდ ქცევის შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაასაბუთოს მისი კანონშესაბამისობა, მით უფრო იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მითითების შეუსრულებლობა კანონმდებლობით იწვევს პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას, ქ. თბილისის მერია, სულ მცირე, ვალდებული იყო პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენებისას დაესაბუთებინა, რომ სადავო ობიექტზე საძირკვლის არსებობის შემთხვევაშიც, ადმინისტრაციული ორგანო აღჭურვილი იყო კანონისმიერი შესაძლებლობით, მოსარჩელის მიმართ გამოეყენებინა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სწორია და უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სრულად ხელმისაწვდომია უზენაესი სასამართლოს ვებ. გვერდზე საქმის ნომრით ბს-478-467(2კ14).





წინამდებარე წერილი შეიცავს ინფორმაციას საგადასახადო და საკანონმდებლო, ასევე, სასამართლო პრაქტიკის სიახლეების შესახებ. ჩვენ გამოვიყენეთ ყველა ძალისხმევა, რათა მოგვეწოდებინა სრული და ზუსტი ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, **ბეიკერ ტილი ჯორჯია** არ იძლევა გარანტიას, რომ მოცემულ წერილში არ იქნება უზუსტობები. წინამდებარე მასალა არ არის გათვლილი და არ უნდა იქნას მიღებული როგორც სამართლებრივი ან საგადასახადო რჩევა. ნებისმიერი შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ ჩვენს პროფესიონალებს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ბეიკერ ტილი ჯორჯია, 44, კოტე აფხაზის ქუჩა
(მეიდან პალასი) 0105, თბილისი.

(+ 995 32) 2438 999

office@bakertillygeorgia.ge

www.bakertillygeorgia.ge

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არის Baker Tilly International -ის დამოუკიდებელი წევრი. Baker Tilly International Limited-ი ინგლისური კომპანიაა. Baker Tilly International-ი არ უწევს პროფესიულ მომსახურებას კომპანიებს. ქსელის ყველა წევრი ფირმა არის დამოუკიდებელი იურიდიული ერთეული. შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია არ არის Baker Tilly International -ის აგენტი და მას არ აქვს უფლებამოსილება დააკავშიროს რამე თავის ქმედებასთან Baker Tilly International-ი ან იმოქმედოს Baker Tilly International -ის სახელით. არც Baker Tilly International-ი, არც შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია და არც Baker Tilly International-ის ქსელის რომელიმე სხვა წევრი არის რამე სახით პასუხისმგებელი ერთმანეთის ქმედებებზე ან შეცდომებზე. Baker Tilly-ის სახელი და მასთან ასოცირებული ლოგო გამოიყენება Baker Tilly International Limited-ის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.

